დეზინფექციის ჩამტარებელი პირის ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის

ინსტრუქტაჟი

1. საერთო მოთხოვნები

1.1. სადეზინფექციო სამუშაოზე დაიშვება 18 წელზე უფროსი ასაკის პირი. გაცნობილია უსაფრთხოების ნორმებს და ჩატარებული აქვს ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაში.

1.2. პირი რომელიც ასრულებს სადეზინფექციო სამუშაოებს, ვალდებულია ყოველკვირეულად გაიაროს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟი.

1.2.2. პირი, რომელიც ასრულებს სადეზინფექციო სამუშაოებს, ექვემდებარება ისეთ მავნე და საშიშ ფაქტორებს, როგორიცაა:

1) მწვავე და ქრონიკული მოწამვლის შესაძლებლობა სხვადასხვა ქიმიკატების ტოქსიკური ეფექტის შედეგად, რომლებიც გამოიყენება სადეზინფექციო სამუშაოებში; სადეზინფექციო საშუალებებთან მუშაობის უკუჩვენებებია:

- ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები;

- ფსიქიური დაავადება, ეპილეპსია, შიზოფრენია;

- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები;

- ქრონიკული რესპირატორული დაავადებები, ფილტვის ტუბერკულოზი, ბრონქული ასთმა;

- ცხვირისა და ფარინქსის ქრონიკული დაავადებები (ლარინგიტი, ფარინგიტი);

- ენდოკრინულ-ვეგეტატიური დაავადებები გამოხატული ხარისხით;

- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის, თირკმელების დაავადებები;

- თვალის ქრონიკული დაავადებები: კონიუნქტივიტი, კერატიტი და ა.შ.;

- ძვლის ქრონიკული დაავადება.

2) არახელსაყრელი ფიზიკური ფაქტორების გავლენა (მაღალი ტემპერატურა, მაღალი ტენიანობა და ა.შ.), რის შედეგადაც შესაძლებელია დამწვრობა, დაზიანებები მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობის გამოყენებისას, აგრეთვე მონტაჟის, დემონტაჟის, აღჭურვილობის შეკეთების დროს და ა.შ.

3) ფიზიკური სტრესი, რომელიც დაკავშირებულია ხელით მოწყობილობების მუშაობასთან, მძიმე ტვირთის ტარებასთან (მოწყობილობებით, სადეზინფექციო მასალებით, ნივთებით ჩანთებით და ა.შ.).

1.3. დაწესებულებაში სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N,1-221/ო ბრძანებითა და "ახალი კორონავირუსით (SARS -CoV- 2) გამოწვეული ინფექციის (COVID- 1 9) გავრცელების პრევენციის და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01/123-ო ბრძანებით გათალისწინებული რეკომენდაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, სადეზინფექციო მასალების და კონკრეტული საშუალების მოხმარების ინსტრუქციის მიხედვით. სადეზინფექციო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ პასპორტი, რომელშიც მითითებულია პროდუქტის დასახელება, წარმოების თარიღი, ვადის გასვლის თარიღი. მოხმარების და უტილიზაციის წესები. აკრძალულია იმ სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება, რომლებსაც არ აქვთ მითითებული მონაცემები.

1.4. დეზინფექციის ჩამტარებელ პირს მიეწოდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: ხალათი, რესპირატორული საშუალება (პირბადე), სახის დამცავი ფარი, წყალგაუმტარი ხელთათმანი.

1.5. პერსონალური დაცვის აღჭურვილობა ინახება ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ კარადაში. აკრძალულია მათი შენახვა სადეზინფექციო ხსნარებთან, ყოველდღიურ ტანსაცმელთან ერთად, ასევე საცხოვრებელ ბინაში.

1.6. გარდა პირადი დამცავი მოწყობილობებისა, დეზინფექციის ჩამტარებელ პირს მიეწოდება საპონი, პირსახოცი (ან ერთჯერადი ხელსახოცები).

1.7. სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურ ოთახებში, რომელიც უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოებით და ვენტილაციით.

2. სამუშაოს დაწყებამდე

2.1.მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია შეამოწმოთ დამცავი ტანსაცმლისა და რესპირატორული საშუალების (პირბადის) ვარგისიანობა, ხელთათმანების, სათვალეების და სხვა აღჭურვილობის მთლიანობა. აკრძალულია დეფექტური დამცავი აღჭურვილობით მუშაობა. ჩაიცვით სათანადო დამცავი ტანსაცმელი, უსაფრთხოების ფეხსაცმელი და სხვა პირადი დამცავი მოწყობილობა.

2.2. აიღეთ საწყობიდან სადეზინფექციო საშუალებების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა. მათი დეზინფექციის ადგილზე მიტანა ხორციელდება ისეთ ყუთებში ან ჩანთებში, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ამ მიზნებისათვის.

2.3. აკრძალულია საკვები პროდუქტების გადატანა სადეზინფექციო საშუალებებთან ერთად და მათი შენახვა ახლად დამუშავებულ შენობაში.

2.4. დაატოვებინეთ პერსონალს ტერიტორია, სადაც უნდა ჩატარდეს დეზინფექცია.

3. მოთხოვნები სამუშაოების წარმოების დროს

3.1. პრეპარატების სხვადასხვა ფორმის შეფუთვის გახსნა, ფხვნილების შერევა, ხსნარების დამზადება და სხვა მანიპულაციები უნდა შესრულდეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენებით, შენობის გარეთ ან სპეციალურად გამოყოფილ ოთახში სადაც არის ჰაერით განიავების საშუალება.

3.2. შენობაში, სადაც ტარდება სადეზინფექციო სამუშაო, ოთახები უნდა იყოს კარგად განიავებადი;

3.3. აკრძალულია იმ კონტეინერების, ჭურჭლისა და სხვა საშუალებების სხვა მიზნებისათვის გამოყენება, რომლებიც მოიხმარება სადეზინფექციო საშუალებების მოსამზადებლად;

3.4. სადეზინფექციო სამუშაოს ჩატარებისას ყოველ 45-50 წუთში ერთხელ აუცილებელია შესვენება 10-15 წუთის განმავლობაში სუფთა ჰაერზე გასვლა, რესპირატორის და სახის დამცავი ფარის მოხსნა. სასურველია პირის ღრუს გამორეცხვა სასმელი წყლით.

3.5. სადეზინფექციო საშუალებებთან ყველა სახის სამუშაოს შესრულებისას უნდა დაიცვთ პირადი ჰიგიენის წესები. აკრძალულია მოწევა, დალევა და კვება ახლად დამუშავებულ ოთახში.

3.6. სადეზინფექციო საშუალებებით დაბინძურებული სპეცტანსაცმლის განეიტრალება ან მათი გარეცხვა ხორციელდება ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებით შენობის გარეთ ან სპეციალურ ოთახში.

3.7. აკრძალულია სადეზინფექციო საშუალებების მიტოვება უყურადღებოდ, ან სხვა პირზე გადაცემა.

4. მოთხოვნები საგანგებო სიტუაციებში

4.1. სადეზინფექციო საშუალებებით მოწამვლის შემთხვევაში, დაზარალებული დაუყოვნებლივ უნდა გაყვანილ იქნეს სუფთა ჰაერზე, უნდა მოიხსნას დაბინძურებული ტანსაცმელი, კანზე მოხვედრილი ქიმიკატი ფრთხილად უნდა მოიწმინდოს, რის შემდეგაც უნდა მოხდეს ჩამობანა საპნით და წყლით.

მოწამვლის ნიშნებია: უსიამოვნო გემო, ნერწყვდენა, ოფლიანობა, გულისრევის შეგრძნება, ნაწლავის კრუნჩხვები, დიარეა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ქოშინი, ხველება, გულმკერდის ტკივილი, თვალების წვა და ტკივილი, ფეხების ტკივილი, კიდურების დაბუჟება.

4.2. სადეზინფექციო სითხის თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით 5-10 წუთის განმავლობაში.

4.3. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში გამოძახებული უნდა იქნას სასწრაფო დახმარება ვრეკავთ 112-ზე .

5. მოთხოვნები სამუშაოს დასრულების შემდეგ

5.1. ობიექტში მუშაობის შემდეგ აუცილებელია დამცავი ტანსაცმლის და სხვა პირადი დამცავი მოწყობილობების უტილიზაცია, ან რეცხვა, ან გაშრობა კერძოდ: უტილიზაციას ექვემდებარება რესპირატორული საშუალება (პირბადე), წყალგაუმტარი ხელთათმანი. რეცხვას ექვემდებარება დამცავი ხალათი და დამცავი ფარი.

5.1.1. სამუშაოს დასრულების შემდეგ სპეცტანსაცმელი გაიხადეთ შემდეგი თანმიმდევრობით: დაიბანეთ ხელები ხელთათმანების მოცილების გარეშე, შემდეგ მათ მოიხსენით დამცავი ფარი და რესპირატორი, დამცავი ხალათი. დამცავი ფარი და ხალათი ირეცხება თბილი წყლით. მხოლოდ ამის შემდეგ იხსნით ხელთათმანს და იბანთ ხელს საგულდაგულოდ.

5.2. სადეზინფექციო ტანსაცმლის რეცხვა და დასუფთავება საცხოვრებელ ბინაში აკრძალულია.

5.3. სამუშაოს დასასრულს, ხელები და სახე დაიბანეთ თბილი წყლით და საპნით, თუ შესაძლებელია, მიიღეთ შხაპი.

გავეცანი ---------- „----„ „----------„ 2020წ.

გავეცანი ---------- „----„ „----------„ 2020წ.